მავალი გლახაკი

ერთი გლახაკი კაცი გამდიდრებულიყო და მისის შვილისათვის ერთის მდიდრის ქალი ითხოვა. მან მდიდარმან თქვა: უარი უთხრა, დამემტერება, და მივსცე არ იქმნება; ამასაც ვეცადო, მიზეზით მოვრჩეო. უთხრა: თუცა ეგ შენი შვილი ერთს წელს სიგლახაკეს იწყებს და კარდაკარ მავალი და მათხოვარი შეიქმნება, მივსცემო.

რა მისმან ძემან მოისმინა, იწყო წლამდის მავლობა და თხოვა. რა წელიწადი გასრულდა, კიდევ სთხოვა. მერმე უთხრა: თუცა ახლა მავლობას და თხოვნას მოიკვეთს, მივსცემ, თვარა მავალს როგორ მივსცეო?

რა მას მავალს ესმა, შორს დაიჭირა: ერთს წელიწადს ძლივ ვისწავლეო, როგორღა მოვიკვეთოო?

იმან მავლობა არ გაუშვა და მან ქალი აღარა მისცა.

– აწ შენცა მაგ ჩხუბიანსა და ავს ენას ნაჩვევი ხარ და არას მიზეზით არ მოიშლი, რადგან წლის ჩვეულება ძნელი მოსაკვეთია. შენ ხომ შენი დღენი მაგ საქმეში დაგიღამებია.

უთხრა პასუხად რუქამ არაკი: